ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/17

ქ. თბილისი 10. 02. 2012

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, "მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 24 იანვრის №84 ბრძანების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის; ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის მე-5 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობისათვის თითოეულ მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადდეს:
   1.1. აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე, ბაკალავრიატში - სამ-სამი ვაკანტური ადგილი;
   1.2. აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში - ორ-ორი ვაკანტური ადგილი;
2. შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების მიღება დასრულდეს ა/წ 20 თებერვალს;

3. სკოლების (ფაკულტეტების) შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება და მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად მოხდეს არაუგვიანეს 2012 წლის 25 თებერვლისა;
4. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადდეს და გამოიცეს არაუგვიანეს 2012 წლის 2 მარტისა;
5. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს;.
6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე